ა(ა)იპ
საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ასლი

18.09.2012 № 854/03

დიზაინის საერთაშორისო სკოლის
შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 სექტემბრის №744 დადგენილებისა და სტუ-ს სენატის 2012 წლის 17 სექტემბრის №13 სხდომის №1 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში შეიქმნას „**დიზაინის საერთაშორისო სკოლა**";
2. დიზაინის საერთაშორისო სკოლამ ფუნქციონირება დაიწყოს 2012 წ. 17 სექ-ტემბრიდან;
3. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის მოვალეობის შესრულება, არჩევ-ნების ჩატარებამდე, დაევალოს დიზაინის აღიარებულ სპეციალისტს, ზვიად ციკოლიას და მისი ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს 1100 ლარით;
4. დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ზ.ციკოლიას დაევალოს, 2 კვირის ვა-დაში, წარმოადგინოს სკოლის სტრუქტურა და სკოლის ფუნქციონირე-ბისათვის საჭირო თანამშრომლების კანდიდატურები;
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი, პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები: რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ.კლიმიაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფ. ქ.ქოქრაშვილი

ადამიანური რესურსების
მართვის დეპარტამენტის
უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ.მაისურაძე

შემსრ: ა.შალვაშვილი